გაზეთი ღირს

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ამიერ-კავკასიის საქიმიო ლაბორატორია

ტფილისში

მიღებული აქვს ვერცხლის დიდი მედალი კავკასიის გამოფენაზედ

აკეთებს ყოველსავე სახმარებელს, ჯანისათვის არა საზიანოს, **საკოსმეტიკო ნივთიერებას**, საუკეთესო ღირსებისას, და აგრეთვე **საჰიგიენო იარა-ჭრილობათა შესახვევს მასალას.**

**ხელობალად აქვს კეთება:**

ფიჭვის წყალისა, რომელიც ერთის წუთის სწმენდავს ჰაერს, ჰაერის მყავბადს ოზონს ჰმატებს და ბალზამის სუნს აძლევს.

პეპსინის ღვინისა a la Baudault (ისპანურის ღვინით), რომელიც ძალიან ჰშველის და ხელს უწყობს სტომაქის მუშაობას.

ო-დე-კოლონისა, საუკეთესო ღირსებისა.

მასტიკისა იატაკებისთვის.

მელნისა ანტრაცინისა და ალიზარინისა; ასლის გადასაღები მელანი არაფრით ჩამორჩება საზღვარ-გარეთისას, და

იოდაფორმით შეზავებული მარლისა.

უმრავლესი საწყობი იმყოფება: ფოსტის ქუჩაზედ, ფარმაციის მაგისტრის ვილარეტის აფთიაქში (წურინოვისებურ) და აგრეთვე უმაღლესად დამტკიცებულ კავკასიის სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობაში, ტფილისსა და ბაქოს. (50—48—17)



კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზედ, დანიშნულია ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის დარბაზში საზოგადო კრება

საურთიერთო დამხმარებელ

**ამხანაგობისა.**

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) ანგარიში „ამხანაგობის“ კანტორის მოქმედებისა;

2) ამხანაგობის ახალ წევრთა არჩევანი, და 3) მორიგ საქმეთა განხილვა.

(5—1)



ქართული საზაფხულო თეატრი

„**ჩ ა ნ ზ ი**“

(მუშტაიდის გვერდით)

ხუთშაბათს, 28 მაისს,

ბენეფისი ა. ე. ნებიერიძისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან ბ-ნ ვ. ა. აბაშიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება:

I

**ა რ ს ე ნ ა**

პირველი მოქმედება ა. ყაზბეგის დრამიდამ

II

**ი ჭ ვ ი ა ნ ი**

ვოდ. 1 მოქმ. რ. ერისთავისა

III

ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი

დრამატ. ეტიუდი 1 მოქმედებად.

IV

მონაწილეობას მიიღებს მოსკოველი მომღერლების და მოცეკვეთა დასი

ი. ა. ალექსანდროვისა.

ანტრაქტებში დაუკრავს ქართული ხორო გურულების ამხანაგობისა

ლ. ქეშელავას ლოტბარობით.

წარმოდგენის გათავებამდე ცხენის რკინის გზის მატარებლები დაიცდიან და თეატრში დამსწრეთ წაიყვანენ: რიყემდე, თამამშოვის ქარვასლასა და ვერამდე.

დასაწყისი 8 საათზედ.

გამგე **ა. ე. ნებიერიძე**


## ახალი ამბავი

*** † ჩვენ გვწერენ გურიიდგან: დაბა ჩოხატაურში უეცრად გარდაიცვალა 21 მაისს ჩვენი ახალგაზდა მომღერალი ვლ. ჟღენტი (ჟიგონი). როგორც ამბობენ, განსვენებულს წვეთი დასცემია.

*** პეტერბურგიდამ ამბავი მოვიდა, რომ კახეთის რკინის გზის საქმე კარგად მიდისო. ბ-ნი ვიტტე თურმე დიდის თანაგრძნობით ეკიდება ამ გზის საქმესა. დღეს თურმე ლაპარაკია მარტო იმაზე, სახელმწიფო ხარჯით გაყვანილ იქმნას ეს გზა, თუ კონცესია ცალკე კაცს, ან საზოგადოებას მიეცეს. აქედამ დაუბარებიათ დეპეშით ერთი კაცი, რომელსაც კონცესიაზე ჰსურთ მოელაპარაკონ.

*** კვირას, 24 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზედ დაიწყო წლიური კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრებაზედ თავმჯდომარეობდა ამ საზოგადოების საპატიო და დამფუძნებელი წევრი ა. პ. ბარონ ნიკოლაი. დარბაზი სამეურნეო საზოგადოებისა მშვენივრად იყო მორთული ყვავილებითა, თბილ ქვეყნების მცენარეობით და ხვეულის მწვანით. კრებამ მოისმინა ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1890 და 1891 წწ., ანგარიში ტფილისის საბაღოსნო სკოლისა 1890 და 1891 წწ., მოხსენება ტარატინოვისა და მურომცევისა და შემდეგ შეუდგა არჩევანებს საზოგადოების საბჭოს ოთხის წევრისას და მდივანისას. დასახელებულ იქმნა საბჭოს წევრის კანდიდატად 9 კაცი, ხოლო მდივნისად 2: ერთი ძველი ბ-ნი ეგ. იოსელიანი და მეორეც ბ-ნი ზაგტრეგერი. კენჭის ყრამ აღმოაჩინა შემდეგი: ბუტირკინს ამოუვიდა 32 შავი და 17 თეთრი, ვლ. ინანაშვილს 17 შავი და 32 თეთრი, პ. ი. ყიფიანს 14 შავი და 34 თეთრი, ტარატინოვს 14 შავი და 34 თეთრი, მელიქ-კარაკოზოვს 36 შავი და 13 თეთრი, ქალანთარს 7 შავი და 41 თეთრი, სტაროსელსკის 31 შავი და 18 თეთრი, ზელინსკის 29 შავი და 20 თეთრი, დ. ზ. ყორღანოვს 22 შავი და 27 თეთრი. ამ სახით წევრებად საბჭოში არჩეულ იქმნენ: ქალანთარი, პ. ყიფიანი. ვლ. ინანაშვილი და ტარატინოვი.

მდივნად არჩეულ იქმნა ბ-ნი ეგ. ო. იოსელიანი, რომელსაც ამოუვიდა 11 შავი და 36 თეთრი. ზაგტრეგერს ამოუვიდა 34 შავი და 13 თეთრი.

იმავე კრებაზედ უნდა ამოერჩიათ მზრუნველი ტფილისის საბაღოსნო სკოლისა ბ-ნ გეევსკის მაგიერ, რომელმაც მოუცლელობის გამო უარი განაცხადა ამ თანამდებობის აღსრულებისა, მაგრამ კრებამ გადასდო ეს საქმე შემდეგ ჩვეულებრივ კრებისათვის.

*** ორშაბათს, ამ თვის 25, ნაშუადღევის პირველ საათზედ, რუსთა პოეტის ალექსანდრე სერგეის ძის პუშკინის ძეგლის კურთხევა იყო. ა. ს—ძე პუშკინს ძეგლი ერევნის მეიდნის პატარა ბაღში დაუდგეს ნებაყოფლობით შეგროვილის ფულით. ტფილისი მეხუთე ქალაქია, სადაცკი განსვენებულ პოეტს ძეგლს უდგამენ. პირველად დიდი ძეგლი დაუდგეს მოსკოვში, შემდეგ პეტერბურგში, კიშინიოვში, ოდესაში და ეხლა ტფილისში. ძეგლის კურთხევის დღეს პუშკინის ბაღს დილიდგანვე დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა. ახლო სახლების აივნები, ფანჯრები და სახლის ბანები სავსე იყო ხალხით. პუშკინის ბაღი შემკობილი იყო დროშებით. ძეგლს გვერდზედ, რომელიც სავანეში იყო გახვეული, გამართული იყო მშვენიერი სამფეროვანი კარავი. აქედგანა სჩანდა ის სახლი, რომელშიაც 1829 წელს სცხოვრობდა ა. ს—ძე პუშკინი ორის კვირის განმავლობაში. ეს სახლი სულ ხვეულის ყვავილებით და დროშებით იყო შემკული. იმ აივნის მოაჯირზედ, სადაც განსვენებულს პოეტს უყვარდა ყოფნა, ყვავილებით დაწერილი იყო „1829“.

შუადღისას ხალხმა ძალიან იმატა. ბაღში მოიკრიფეს თავი: ტფილისის სამისავე კლასიკურ გიმნაზიის შეგირდებმა თავიანთ მასწავლებლებით, ინსპექტორებითა და დირექტორებითურთ, ქალაქის სასწავლებლების შეგირდებმა თავიანთ მასწავლებლებით და მრავალმა მოწვეულმა დიდ-კაცობამ. მათ შორის იყვნენ კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ი. დ—ძე ტატიშჩევი, გენერალ-ლეიტენანტი თავ. ნ. ამილახვარი, ტფილისის გუბერნატორი თავ. გ. დ—ძე შერვაშიძე, ტფილისის მარშალი კამერჰერი ლ. ა—ძე მაღალაშვილი, უმფროსი

# ფელეტონი

### მეფე სვიმონ I

### 1557—1600

### VI

(შემდეგი. იხ. „ივერია“, № 105)

სწორედ 1588 წელს, თითქო სპარსთა და ოსმალთ შორის დადგენილს ზავს მისთვის მნიშვნელობა არ ჰქონდეს, სვიმონ მეფემ მოინდომა იმერეთის დაპყრობა გიორგი მეფის ჯავრის ამოსაყრელად. სვიმონ მეფე ეზრახა ლევან მეფის წინააღმდეგ იმერეთის დიდებულთ, რომელთაგან ბევრმა ერთგულების მტკიცე პირობა მისცა. მართლაც გადავიდა თუ არა სვიმონი ჯარით იმერეთს, მაშინვე მიემხრნენ ზემოური თავადები თავიანთ ყმებით. ლევან მეფემ შეკრიბა ჯარი და გოფანოში გაჩერდა. აქედგან მან შემწეობა სთხოვა მამია დადიანს და გიორგი გურიელს, მაგრამ ესენი არ მიეშველნენ. სვიმონ ჯარით მივიდა გოფანთოს და აქ გაიმართა ბრძოლა სვიმონისა და ლევანის ჯარებ შორის. ლევანი იძლია და გაიქცა ლეჩხუმს, სვიმონმა-კი მთელი იმერეთი დაიპყრო. სვიმონს ქართლში ოსმალების შიში ჰქონდა და ამიტომ ბევრი ხანი ვერ დარჩა, რომ დაპყრობილი ქვეყანა მტკიცედ ჩაეგდო ხელში. მხოლოდ თავადებს გამოართვა მძევლები და უკანვე დაბრუნდა.

სვიმონის ქართლს დაბრუნების შემდეგ ლევანმა ისევ დაიპყრო იმერეთი. ახლა ის დადიანს გადაემტერა, რაკი სვიმონის წინააღმდეგ არ მიეშველა. საქმე იქამდის მივიდა, რომ 1590 წ. მამია დადიანი ჯარით ქუთაისს მიადგა. ბრძოლაში ლევან მეფე იძლია და ტყვედ ჩაუვარდა დადიანს, რომელმაც ოდიშს წაიყვანა და შხეფის ციხეში დაამწყვდია. ლევანი აქ მალე მიიცვალა და იმერეთის მეფედ მამიამ დასვა როსტომ კონსტანტინეს ძე, რომელსაც თავის ასული შერთო ცოლად. ამავე წელს მიიცვალა მამია დადიანიც და გამთავრდა მისი ძმა მანუჩარი. გიორგი გურიელმა არ ინდომა როსტომის მეფობა, ჯარით შევიდა იმერეთს, აიღო ქუთაისი და როსტომი განდევნა. მეფედ დასვა ბაგრატ, თეიმურაზის ძე, ბაგრატ III-ის ძმის ვახტანგის შვილიშვილი. გურიელმა ქუთაისი გაიმაგრა და ბაგრატს მოუყენა მრჩევლად თავის ძე მამია. ამ ცვლილების ამბავი რომ შეიტყო, სვიმონ მეფე წამოვიდა ჯარით იმერეთს. იმერლები ახლაც მიემხრნენ სვიმონს, რომელმაც აიღო ქუთაისი და დაატყვევა ბაგრატი (1591 წ.). ქუთაისის ციხეში სვიმონ მეფემ თავის მეციხოვნენი ჩააყენა, იმერეთის თავადებისგან მძევლები მოკრიბა და ისევ მალე დაბრუნდა ქართლში ბაგრატითურთ.

როსტომმა შემწეობის სათხოვნელად მიმართა მანუჩარ დადიანს. დადიანი ჯარით წამოჰყვა როსტომს იმერეთს, აიღო ქუთაისი და კვალად გაამეფა. ამ ახალის ცვლილების გამგონმა სვიმონ მეფემ კიდევ გაილაშქრა იმერეთის დასაჭერად. აიღო ციხეები: სკანდა, კაცხი, კვარი და სვერი, შიგ მეციხოვნები ჩააყენა და ქუთაისს მიადგა. როსტომი ქუთაისიდგან გაიქცა ოდიშს და სვიმონმა ქუთაისის ციხეც დაიჭირა. ცხადი იყო, რომ სვიმონი იმერეთს ვერ დაიმტკიცებდა, ვიდრე მის ტახტის მეუფლე თავისუფლად იქნებოდა. ამიტომ მან მოინდომა როსტომის შეპყრობა. სვიმონი თავის ჯარით გაემართა ოდიშისკენ. ეს რომ დავითმა გაიგო, მეფეს მოციქულები გაუგზავნა. სვიმონი ამ დროს ოფიშკვითში იყო დაბანაკებული და დადიანის მოციქულები აქ გამოეცხადნენ. მანუჩარი სთხოვდა სვიმონს როსტომისთვის მიეცა იმერეთი იმ პირობით, რომ როსტომიც და მანუჩარიც მისი მორჩილები იქნებოდნენ: „ესრედ დაიმკვიდრე საქართველო, ვითარცა პირველ დავით აღმაშენებელმაო“, უთვლიდა დადიანი. სვიმონმა არ შეიწყნარა ეს თხოვნა და მოითხოვა როსტომის გაცემა. დადიანმა და როსტომ მეფემ სვიმონის პასუხის მიღების შემდეგ საჩქაროდ შეკრიბეს ჯარი, სწრაფად წამოვიდნენ და განთიადისას დაეცნენ სვიმონის ბანაკს ოფიშკვითში. ბრძოლაში სვიმონის ჯარი იძლია. როსტომმა დადიანის შემწეობით აიღო ქუთაისი და დაიპყრო მთელი იმერეთი.

ოფიშკვითში შუა ბრძოლის დროს სვიმონ მეფემ მოითხოვა ის ცხენი, რომელსაც შურდანი ერქვა. მეფის ამ ნაირი ბრძანება რომ გაიგონა საამ თურქისტანიშვილმა, მივიდა სვიმონთან და უთხრა: „რა არის მიზეზი შურდანზე შეჯდომისა თქვენისა? ნუმცა მიხილავს თვალითა ჩემითა ლტოლვა მრავალჯერ გამარჯვებულისა და სახელოვანისა თავისა თქვენისა. მე აქიდგან შუბ-მოუქნეველი ცოცხალი არ წავალ“. საქმე ის არის, რომ თურქისტანიშვილისთვის მეფის ბრძანებას ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომელიც სხვას არავის ესმოდა.

თავმჯდომარე ტფილისის სასამართლოს პალატისა დ. ს. ს. ფონ-ვენდრიხი და მრავალნი სხვანი.

პირველ საათზედ დეკანოზმა მამა ელიევმა ორის სხვა დეკანოზით და ეგზარხოსის მგალობელთა გუნდითურთ პანაშვიდი გადიხადა განსვენებულის პოეტის სულის მოსახსენებლად. შემდეგ ძეგლს სავანე მოაშორეს და სამისავე გიმნაზიის შეგირდების შეერთებულმა სამუსიკო ხორომ დაუკრა ჰიმნი „Коль славенъ“. ამ დროს ფოტოგრაფმა ერმაკოვმა რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი გადიღო. ტფილისის ქალაქის მოურავმა თავ. არღუთინსკი-დოლგორუკიმ წარმოსთქვა სიტყვა ძეგლის აგების ისტორიის შესახებ და ძეგლი შეამკო მშვენიერის გვირგვინით ქალაქის სახელით. სამღვდელოებამ პარაკლისი გადიხადა მათ იმპერატორებით უდიდებულესობის, მემკვიდრე ცესარევიჩისა და სამეფო სახლეულობის სადღეგრძელოდ და აკურთხა ძეგლი. პეტერბურგის საიმპერატორო თეატრის არტისტმა ბ-ნმა დავიდოვმა წაიკითხა ლექსი, დაწერილი ამ დღესასწაულის გამო ქ-ნ მარიამ პაპკევიჩის მიერ. მეორე კლასიკურ გიმნაზიის მასწავლებელმა ბ-ნმა სლავინსკიმ წარმოსთქვა სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს საქართველოს პუშკინისათვის და პუშკინს საქართველოსათვის. ბ-ნმა სლავინსკიმ გვირგვინით შეამკო ძეგლი. გვირგვინის სამს დიდ ლენტზედ წარწერილია:

„Возстань, пророкъ, и виждь, и внемли,
Исполнись волею Моей
И, обходя моря и земли,
Глаголомъ жги сердца людей!“

ტფილისის დედათა გიმნაზიის უფროსმა ქ. კლაუსმა ძეგლზედ დასდო გვირგვინი, რომელზედაც ეწერა:

„Тому, кто чувства добрыя въ насъ лирой пробуждалъ“.

ქალაქის სასწავლებლის მოწაფეებს დაურიგეს პუშკინის ლექსები. გიმნაზიების ორკესტრმა დაუკრა საერო: ჰიმნი „ღმერთო, ჰფარვიდე მეფესა“, და დიდ-კაცობა დაიშალა. გენერალ-ლეიტენანტმა გრაფმა ტატიშჩევმა დაათვალიერა გიმნაზიის მოწაფენი, რომელთაც საცერემონიო მარშით გაიარეს გრაფის წინაშე. ბალში საღამომდე მუსიკა უკრავდა და ძეგლის სანახავად დიდ-ძალი ხალხი მოდიოდა.

*** ამ ზაფხულს ტფილისის საკადეტო კორპუსის შეგირდები მანგლისის მაგიერ კოჯორში გაატარებენ.

*** ჩვენ მივიღეთ ბ-ნთ პ. და პ. ყიფიანებისაგან და სტ. ჭრელაშვილისაგან სამ-სამი მანეთი განსვენებულ დ. ი. ყიფიანის ძეგლის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ. ამავე ფონდის სასარგებლოდ, როგორც ამას წინადაც გვქონდა მოხსენებული, შესწირა ბ-ნმა კ. მესხიშვილმა ნახევარი მის მიერ დაბეჭდილ განსვენებულის სურათის შემოსავლისა. სასურველია, ამ ფონდმა იმატოს და იმდენად გაზევრდეს, რომ მით შეიძლებოდეს შესაფერი ძეგლი აევოს იმისთანა ღირსეულს მამულიშვილს, როგორიც იყო განსვენებული დ. ი. ყიფიანი.

*** გუშინ-წინ, 25 მაისს, არ შესდგა კრება ტფილისის ქალაქის საბჭოს წევრთა, რადგან კანონიერი რიცხვი ხმოსანთა არ გამოცხადდა.

*** გუშინ, 26 მაისს, თამამშოვის ქარვასლიდგან მოვიდა ვარანცოვის ძეგლთან ცხენის რკინის გზის ვაგონი და გაჩერდა მიხეილის ქუჩაზედ. ხალხი ჩასხდა შიგ და ის იყო ვაგონი უნდა წასულიყო მუშტაიდისაკენ. ამ დროს წევრმა პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისამ ბ-ნმა დოლანოვმა შეამჩნია, რომ ერთს ცხენს ფეხი ჰქონდა ნატკენი. ამის გამო შეაჩერა ვაგონი, სთხოვა ხალხს გადმოსულიყვნენ და კუჩერს უბრძანა ცალიერი ვაგონი წაეყვანა მუშტაიდისაკენ: მაგ ფეხ-ნატკენის ცხენით ყოვლად შეუძლებელია ტარება ვაგონისაო.

*** 24 მაისს რკინის გზაზედ მჭედელი რკინის გზისავე სახელოსნოებისა პ. არზუმანცევი გადმოვარდა მატარებლიდამ გაუფრთხილებლობის გამო და თავი გაიტეხა. დაუშავდა აგრეთვე მარცხენა ხელიც.

*** ამ დღეებში კიდევ მოვიდა ბაქოდამ ცხრა ვაგონი ნავთი ყარაიაზში კალიის გასაწყვეტად. კალია მრავლისაგან მრავალი თურმე ყარაიაზსა და ალტაგილას შუა. მუშა ხალხი ყოველ მხრიდგან მიდის კალიის საწყვეტად. ამ დღეებში გაიარეს გორის მაზრის სხვა-დ-სხვა სოფლებიდგან 600 კაცმა, დუშეთის მაზრიდგან—300 კაცმა.

*** 25 მაისს, ღამის $3^1/_2$ საათზედ, ორმა კაცმა, იუნან ბაბიქოვმა და ნიკოლოოზ საზანაშვილმა, განიზრახეს გაეძარცვათ ბ-ნ რატილის სადგური, რომელიც იმყოფება ვარანცოვის ვიწრო ქუჩაში, ზომმერის სახლებში. ბოროტ-გამზრახველნი შესავალ კარებში შევიდნენ, რომელიც ღია დახვდათ, და ოთახის ფანჯარა გატეხეს. ამ დროს უცბად გაჩნდა პოლიციის მოხელე ივანე ბაბალოვი და შეუყვირა ქურდებს: „გაჩერდითო“. შეშინებული ქურდები გაიქცნენ. ბ-ნი ბაბალოვი უკან დაედევნა და ერთი მათგანი, იუნან ბაბაქოვი, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად შეიპყრო. მეორე ბოროტ-განმზრახველი-კი, ნიკოლოოზ ბაბაქოვი ხელიდგან წაუვიდა, მაგრამ ესეც მეორე დღეს 9 საათზედ იმავე პოლიციის მოხელემ იპოვნა და შეიპყრო.

*** ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობის მიერ ოთხი კონდუქტორი იქმნა დათხოვნილი იმის გამო, რომ რკინის გზის მატარებლით უბილეთო ხალხი დაჰყავდათ.

*** ტფილისში გამოვიდა პირველი გამოცემა საფრანგეთის ცნობილის პოეტის ბერანჟეს ლექსებისა. ეს წიგნი ბ-ნ ი. ფ. ტხორჟევსკის მიერ არის გამოცემული და შეიცავს 10 ლექსს. ოთხი მათგანი თვით ბ-ნ ტხორჟევსკის ნათარგმნია, დანარჩენი ოთხი-კი ვ. კუროჩკინისა და ნ. ლებედევისაა.

*** გორი: ივნისის 15 დანიშნულია კრება გორის სამაზრო სამღვდელოების დეპუტატებისა. კრებამ უნდა განიხილოს ზოგიერთი სასულიერო სასწავლებლის შესახები საგნები. არ იქნება ურიგო, რომ კრება დეპუტატებისა მიაქცევდეს თავის ყურადღებას იმ გარემოებას, რომ გაფართოვდეს ქართულ ენის სწავლების პროგრამმა ამ სასწავლებელში და ამასთანავე სასულიერო გალობასაც უფრო უკეთ ასწავლიდნენ შეგირდებს, ვიდრე ეხლაა, როცა შეგირდებმა რუსული გალობა კარგად იციან, ხოლო ქართულ გალობისათვის დრო სრულიად აღარა რჩებათ.

*** იქიდამვე: გორის ციხე, ეს წარსულის ცხოვრების ცხოველი მოწამე, ნელ-ნელა ინგრევა და პატრონი მისი არავინ არის. იმას გარდა, რომ ახლო-მახლო მცხოვრებნი ნება დაურთველად ანგრევენ ციხის კედლებს და იმის ქვით იშენებენ საკუთარს სახლებს, ახლა იმასაც თურმე ჰფიქრობენ, როგორც ყური მოვკარით, რომ სულ დაანგრიონ ციხე და ქვა ლიახვის გასამაგრებლად მოიხმარონო. სასურველია, ამ გარემოებას უყურადღებოდ არ დასტოვებდეს გორის ქალაქის თვით-მმართველობა და სასტიკად აუკრძალავდეს ყველას ციხის ხელის ხლებას. ციხეს, მერე ამისთანა ძველს ციხესა და ნაშთს, დაცვა უნდა, პატრონობა და არა ასეთი მოქცევა. მივაქცევთ აქაურ სასულიერო მთავრობის ყურადღებას იმ გარემოებასაც, რომ ციხის ეკკლესია ვერ არის სასურველის სისუფთავითა და ჯეროვანის წესით დაცული და შენახული.

*** სოფ. სამთავისი (გორის მაზრა): ამაღლება დღეს ჩვენს სოფელში მცირე დღეობა იცის. ჭიდაობაზედ ერთმა კაცმა არ გაიხადა ჩოხა, ძალათი დაუწყეს ხდა, ჩოხის პატრონს მიეშველა თავისი მეზობელი გლეხ-კაცი და სთხოვდა, არ გაეხდევინებინათ. ამაზედ გაგულისდნენ და ერთმა აზნაურიშვილმა სოფ. იგუეთში მცხოვრებელმა ხანჯალი დაუქნია თავში მიმშველებელს. უკანასკნელს ასცდა თავზედ და ხანჯლის წვერი ბეჭის ფრთას მოხვდა, რის გამოც ორის თითის სიღრმეზედ ჩასჭრა გლეხკაცი.

ამავე დღეს სკოლის შეგირდებმა მთელი წირვა პარაკლისითურთ ქართულად შეასრულეს.

*** ცხინვალი: მისწყდა ხმა ჩვენსკენ ქურდობა-ავაზაკობისა. ღვთისმადლით, ახლა დამშვიდებულები ვართ და ვემადლიერებით იმათ, ვინც სცდილობენ ჩვენის უვნებლობისა და ჩვენის სარჩო-საბადებლის უზრუნველყოფისათვის. შემცირებულია ყოველ ამის გამო დავა და საჩივრების რიცხვი სასამართლოშიაც. უმეტესი ნაწილი ამისთანა საქმეებისა ისევ სასოფლო სასამართლოშივე თავდება უხარჯოდ და უბორჯოდ. ეს მაგალითი სწორედ დიდად მისაბაძი მაგალითია ბევრ სხვა დაბა-ქალაქისათვის, სადაც გამრავლებულია დავისა და საჩივრის წარმოების მოყვარე ადვაკატ-აბლაკატები. ამისთანა ვაჟბატონები განგებ აჩენენ, როგორც მოგეხსენებათ, სადავიდარაბო საქმეს, რა არის, გამოვრჩეთ რასმე ქვეყანასაო. ზოგიერთი ამათ შორის ისეთია, ფიქრად, რომ არ გქონდეთ დავა, მაინც აგატეხინებენ, „სასუდოდ“ გაგიხდიან საქმეს, შენ გაგფცქვნიან და თითონ-კი ჯიბე-უბეს იტენენ და მერე ვარხალალოს გასძახიან.

*** ახალ-სენაკი: დღეს, ამ თთვის 24, აქაურმა საზოგადოებამ გამოთხოვების სადილი გაუმართა მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ-ნს ირაკლი ქაიხოსროს ძეს კალანდარიშვილს, ახლად გადაყვანილს მთავრობის მიერ ოზურგეთში იმავე თანამდებობაზედ. ბ-ნი ი. კა—ლი შარშან გადმოიყვანეს აქ ოზურგეთიდგან და ამ ცოტა ხნის განმავლობაში მცირე რამ არ გააკეთა აქაურობისათვის: მისის მოთავეობით აქაურმა სამოქალაქო სკოლამ მუსიკა შეიძინა და მშვენივრად უკრავენ დღეს მოსწავლენი მუსიკას ბ-ნ ნაზაროვის ლოტბარობით. აქაურს ეგრედ წოდებულს ბულვარსაც მეტი შნო დასდო. ქუჩებიც, რომელიც დაღორო-ჩოღოროებული იყო, შეალამაზებინა და სხვ… ბ-ნი ი. კა—ლი მარტო დაბის წარმატებისთვის კი არ ზრუნავდა, არამედ მთელის მაზრისათვისაც. ზოგიერთს სოფლებში ყრილობას მოუწოდებდა ხოლმე და საეჭვო კაცების სიებს აწერინებდა, ღამის დარაჯებსაც ჰნიშნავდა და ამით სცდილობდა მოესპო ყოველ გვარი ბოროტება… გზებსაც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდა… სადილზედ ბლომად დაესწრო ჩვენის საზოგადოების კაცი და ქალი. სადილმა მხიარულად ჩაიარა. ბევრი სადღეგრძელო შესვეს და სიტყვებიც წარმოსთქვეს… სადილზედ მუსიკის ორკესტრი უკრავდა…

აქაურს სცენის მოყვარეთა განზრახვა აქვთ ამ თთვის დამლევს ქართული წარმოდგენა გამართონ. როგორც ნამდვილად შევიტყვეთ, სრული შემოსავალი ამ წარმოდგენისა გადადებულია მომავალის „სამეგრელოს საჯარო წიგნთ-საცავისათვის“.

---

სვიმონ მეფეს ორი რჩეული ცხენი ჰყავდა: ფალავანდი და შურდანი. როცა ომში გამარჯვების იმედი ჰქონდა, სვიმონი ფალავანზე ჯდებოდა, როცა დამარცხების შიში შეეპარებოდა და გასწყვეტდა უკან დახევას, შმერდანზედ ჯდებოდა. მისი ამ ნაირი ჩვეულება თურქისტანიშვილის მეტს არავის ჰქონდა შენიშნული და ახლაც ის მიხვდა, რა განზრახვაც ჰქონდა მეფეს. თურქისტანიშვილი ახალგაზდა და მამაცი კაცი იყო; თავის სიტყვების დასამტკიცებლად შეერია დადიანის ჯარში და თავ-გამოდებით დაიწყო ბრძოლა. მაგრამ მან ვერ შესცვალა მეომართა ბედის ტრიალი. ქართლის ჯარი დამარცხდა და გამარჯვებულთ დარჩათ მრავალი საუნჯე, დიდი თოფები, ზარბაზნები და ოქონის ხატი, რომლის მატარებელი დეკანოზი გარსევანიშვილი მოკლულ იქმნა[31]). სვიმონი მარტოდ მარტო თავის შურდანით წამოვიდა ქართლისკენ. მის ჯარს-კი გამოუძღვნენ მისი სარდლები, რომელთა შორის ერია სამ თურქისტანიშვილიც.

უკან დაბრუნებულმა სვიმონმა კოლბეურზედ გაიარა. ქართლიითგან რომ მოდიოდა იმერეთში, ამ სოფელში ერთმა დედაკაცმა მიუყვანა თავისი შვილი და შეეხვეწა, თან წაიყვანე ომშიო. მეფემ დედაკაცს თხოვნა არ შეუსრულა და უთხრა: «დედავ, არ უწყი, რომ კაცითა მთვრალ ვარო?» ახლა დამარცხებული და მარტოდ დაბრუნებული მეფე კოლბეურს რომ მივიდა, შეხვდა იგივე დედაკაცი, რომელიც ახოს თოხნიდა. დედაკაცი მიხვდა, რა ყოფაშიაც იყო მეფემ და მოახსენა: «მეფეო, კაცისაგან რომ მთვრალი იყავ, ვეჭობ ახლა-კი გამოგფხიზლებიაო».

კოლბეურითგან სვიმონმა ისევ მარტოდ გაიარა ქართლი. კავთისხევს რომ მიაწია, საღამოზედ, დამაშვრალი მეფე დასასვენებლად მივიდა ერთის გლეხ-კაცის, გვარად ქვლივიძის სახლში, და ითხოვა, თქვენს ჭერს ქვეშ შემაფარეთო. მასპინძელმა ქალმა, რომლის ქმარიც მეფის ჯარში იყო წასული იმერეთს, კეთილად მიიღო უცნობი სტუმარი და სერის მზადებას შეუდგა. სუფრა რომ გაუშალა, ქალმა ჰკითხა: «მეფე რას იქს, როგორ მშვიდობით ვადარჩა ომსაო». სვიმონმა მიუგო: „არა ვიცი-რა მეფისაო“. მერე ქალმა ანიშნა თავისი ქმარი და იმისი ამბავი ჰკითხა. მეფემ კიდევ უპასუხა; „არა ვიცი-რა, თუ რა შეემთხვა მეფის ლაშქარსაო“. მაშინ ქალმა წუხილი დაიწყო ამ სიტყვებით: „ნეტა ღმერთმა მიხედოს მეფეს წყალობით და გველირსოს სვიმონის ცოცხლებით გამოსვლა და სხვანი ყველანი მის ჭირის სანაცვლონი იყვნენო“. მეფემ მაინც არ შეატყობინა მასპინძელს თავისი ვინაობა და მეორე დღეს წავიდა ტფილისისკენ. უცნობის სტუმრის ვინაობა ქალმა მარტო მაშინ შეიტყო, როცა სვიმონმა მისი ქმარი გააზნაურა და ყმა, მამული და სახელი მისცა.

ლორის ციხეში მყოფმა ოსმალებმა რომ შეიტყვეს სვიმონ მეფის იმერეთში დამარცხება, გამოვიდნენ ციხიდგან და დაიწყეს რბევა ქართლისა. ტფილისში რომ სვიმონი მივიდა, ისინი ტაშირზე იდგნენ დაბანაკებულნი. მეფემ შეკრიბა ლაშქარი, დაესხა ლორის ციხეს, ოსმალები გაწყვიტა და ციხეც დაიპყრო.

ლორიდგან დაბრუნებულმა სვიმონ მეფემ გამართა მოლაპარაკება როსტომ მეფესთან. მათ ჰყვეს ზავი, რომლის ძალითაც როსტომმა გამოუშვა ქართლს იმერეთში დარჩენილი სვიმონის მეციხოვნეები, ხოლო სვიმონმა დააბრუნა იმერეთს მისგან წამოყვანილი მძევლები.

ახლა ოსმალებს ქართლში ერთი გორის ციხე-ღა ეჭირათ. სვიმონისთვის იმის აღება-ღა იყო საჭირო, რომ ქართლი გაეწმინდა ოსმალთაგან. 1592 წ. მეფე ჯარით მიადგა გორს, მაგრამ მტრის ზარბაზნების გამო ვერ შესძლო მისი აღება. უკეთესის შემთხვევის დასაცდელად მეფე დადგა გორის-ჯვრის გორაზედ. ერთხელ ღვინითა და თრიაქით გამხიარულებულმა და დამთვრალმა მეფემ გადახედა გორის ბოსტნებს და უთხრა თავის ჯარს: „განა თქვენთვის სირცხვილი არ არის, რომ ვხედავ თვალით მწვანილს, მინდა მისი ჭამა, მაგრამ მომტანი არავინ არისო“. ამის მსმენელი სვიმონის ჯარი მაშინვე გავიდა მტკვარს და დაგლიჯა მწვანილი. მაგრამ ძვირად დაუჯდა მეფის ქეიფის შესრულება. ოსმალებმა ციხიდგან თოფ-ზარბაზანი დაუშინეს და მრავალნი დახოცეს. მეფეს მიართვეს მწვანილი და თან არ დაერიდნენ დაეყვედრებინათ, რომ მწარე ხახვისათვის ოსმალებს ამოაწყვეტინე იმდენი ვაჟკაცნი: თავადნი, აზნაურნი, თუ გლეხნიო. გამოფხიზლებულმა მეფემ ინანა, მაგრამ გვიან-ღა იყო. მაშინვე აჰყარა ჯარი და უკანვე წავიდა ტფილისს.

დ. კარიჭაშვილი

(დასასრული ხვალ)

[31]) Дворян. грам., стр. 13—14.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა): გათავდა ჩვენსკენ სიმინდის თესვა. ბევრი ახალი ყანები შევიძინეთ; უფრო სიმინდის ფასის მომატებამ გაგვამხნევა. აქეთ სიმინდის ფასი ფუთი 58 კაპიკია. ვაზსაც გვარიანად ასხია ჩვენსკენ, განსაკუთრებით „იზაბელას“.

*** სერახსიდგან სწერენ გაზეთს „ნორ-დარს“, რომ თიუსბათ-ჯანში ხოლერა გაჩნდაო. ეს ქალაქი პირველს დღესვე საშინელს სურათს წარმოადგენდა თურმე. ხალხი ასობით იხოცება ყოველ დღე. მოლლები ქუჩა-ქუჩა დადიან და ყორანს კითხულობენ. მკურნალთ ვერაფერი გაუწყიათ და საზარელს სენს ვერ ებრძვიან ქალაქის საშინელის უსუფთაობის გამო. სერახსის მმართველობა ყოველ გვარ ღონისძიებასა ხმარობს, რომ ხოლერა იქაც არ გადავიდეს.

*** იგივე გაზეთი სწერს, რომ მეშედში ხოლერა გაჩენილა და ამის გამო ბაქოში კარანტინია დაწესებული იმ გემების მგზავრთათვის, რომელნიც სპარსეთიდგან და უზუნადას სადგურიდგან მოდიან.

*** 23 მაისს, ნაშუადღევის პირველს საათზედ, ვიღაც კაცი ხიდის მოაჯირიდგან გადავარდა მტკვარში და თავი დაირჩო. დამრჩვალმა წყლის პირას დასტოვა რამდენიმე ძველი ფეხსაცმელი.

*** 24 მაისს ალექსანდრეს ბაღში იპოვნეს ექვსის თვის დაბადებული მიგდებული ბავშვი. ბავშვს ბარათი უპოვნეს, რომელშიაც ეწერა, რომ ბავშვი მართლ-მადიდებელია და სახელი ჰქვიანო. ბავშვი საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს, ღამის პირველს საათზედ, წყლის საზიდ ქუჩაზედ იპოვნეს ერთის თვის მიგდებული ბავშვი. ამ ბავშვსაც უპოვნეს ბარათი. ბარათში ეწერა: „მოუნათლავიაო“. ეს ბავშვიც საბებიო ინსტიტუტში გაჰგზავნეს.

*** 25 მაისს განოვის ქუჩაზედ გურგენოვის სახლში უეცრად გარდაიცვალა სოფ. პოდგორნის მცხოვრებელი გლეხი იულიუს ზილბერბერგი.

*** ამავე დღეს, საღამოს 5 საათზედ, ტფილისის მცხოვრებლის თედო კახელაძის შვილი 19 წლისა შაქრო კახელაძე მადათოვის კუნძულზედ მტკვრის პირას დადიოდა. უეცრად წყალში გადავარდა და მტკვარმა მოიტაცა, მაგრამ მალე მიეშველა რუბო აკოფოვი და გადაარჩინა დარჩობას.

*** 25 მაისს მეჩხანის ქუჩაზე ამიროვის სახლში გულის ზაფრით უეცრად გარდაიცვალა ტფილისის ოლქის სასამართლოს მოხელე, სერგეი თეოდორეს ძე სარქისბეგოვი.

---

## ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის წევრთა წლიური კრება.

16 მაისი

კრება ხარჯთ-აღრიცხვის განხილვაშია. ორი ხარჯთ-აღრიცხვაა მომზადებული. ერთი იმ შემთხვევისათვის, თუ დივიდენდი მოისპო, მეორე,—თუ აწინდელი წესი არ შეიცვალო. ხარჯთ-აღრიცხვით მოთხოვნილია სულ 66,804 მან. 30 კაპ. იმ ანგარიშით, რომ მმართველობას ერთი წევრი კიდევ მიემატება და დამფასებლებს ერთი დამფასებელი, კანდიდატი იქნება დაბარებულიო. არც ერთის კაცის მომატება საზოგადო კრებამ არ ინდომა და ამიტომ ხარჯთ-აღრიცხვის რაოდენობამ დაიწია 62,404 მან. 80 კაპეიკამდე. თუ ვინიცობაა დივიდენდი მოესპო, ბანკის მოსამსახურეთ შემდეგი ჯამაგირი ენიშნებათ: მმართველობის თავმჯდომარეს 5,400 მან., წევრებს თითოს 4,400 მან., დამფასებლებს თითოს 1,800 მან., ხოლო დანარჩენთ-კი საერთოდ, აწინდელ 15,940 მან. მაგიერ, 19,680 მან.

ნ. ა. ხუდადოვი. სრულიად თანახმარი ვარ რა აწ აქ წარმოთქმულ ბ-ნ ნიკოლაძეს მიერ თეორიულ აზრისა დივიდენდის შესახებ, ჩემს თავს ნებას მივცემ, პრაქტიკულს მხარესაც მივაქციო საზოგადოების ყურადღება. დიდ-ძალი გაჭირვება გვაწევს კისრად, ჩვენ შემოგვცქერის ჩვენი სასწავლებლები. ამიტომ დიდად ხელმოჭერილნი უნდა ვიყვნეთ, რომ შევიძლოთ და ჩვენი მოვალეობანი აღვასრულოთ. ქუთაისის ბანკში ჩვენს ბანკზედ ნაკლები სამუშაო არა აქვთ და ოპერაციებიც თითქმის ამდენივეა, მაგრამ მაინც დივიდენდიც მოსპეს და ჯამაგირიც მოსამსახურეებს, რაც შეიძლებოდა, შეუმცირეს. თუ არა ვცდები, იქ მმართველობის თავმჯდომარეს ეძლევა 2,500 მან., წევრებს თითოს 1,500 მან. კარგს ვიზამდით, რომ ჩვენც გვეფიქრა ამ ჯამაგირების შემცირებისათვის. ჩემის აზრით, სრულიად საკმარისი იქნებოდა, რომ თავმჯდომარესათვის 4,200 მან. დაგვენიშნა და წევრებისათვის სამ-სამი ათასი მან. ამითი ჩვენი საქმე თუ არას მოიგებდა, არ წააგებდა (ტაშის ცემაა).

თ. ი. გ. მაჩაბელი. სრულიად თანავუგრძნობ ბ-ნ ხუდადოვის მიერ გამოთქმულს აზრს, მაგრამ ამასთანავე უნდა განვაცხადო, რომ ქუთაისის ბანკს გაცილებით ნაკლები საქმე აქვს ჩვენს ბანკთან შედარებით. ამას გარდა, მე ვფიქრობ, რომ ის ხალხი, რომელიც ჩვენ გვემსახურება, რაც შეიძლება კარგად უნდა უზრუნველ ვყოთ, რათა მიზეზი არა ჰქონდეთ-რა შეცდომისა. ხარჯთ-აღრიცხვით დანიშნული ჯამაგირი, ბევრი-კი არა, საშუალო მგონია. რაც შეეხება შრომის გაძლიერებას, არ უნდა დავივიწყოთ, რომ შრომა და ჯაფა ემატება უფრო ბანკის მოსამსახურეებს, კანცელარიას, და დიდად მოხარულიცა ვარ, რომ ამათაც უმატებენ ჯამაგირს, თუმცა-კი დაწვრილებით არ არის აღნიშნული, ვის რამდენად ემატება ფული (ტაშის ცემაა).

შემდეგ ზოგნი (და მათ შორის თ. ს. ანდრონიკაშვილი, თ. დ. სუმბათაშვილი, თაქთაქიშვილი და სხვ.) ჯამაგირის შემცირებას ჰმოხრეობენ, მეორენი (თ. გ. ი. ორბელიანი და სხვ.) ხარჯთ-აღრიცხვით აღნიშნულ ჯამაგირის დამტკიცებას.

დ. ი. მუსხელიშვილი. ამიხსენით ერთი, რატომ არ არის აღსრულებული შარშანდელი დადგენილება საზოგადო კრებისა, რომ განსაკუთრებული შუამავალი ანუ აგენტი ჰყავდეს ბანკსა და მან შეუმსუბუქოს მესხებლებს სესხის მიღება საჭირო ცნობების შეტყობისა და საბუთის ქაღალდების მოპოვების მხრივაო. ის 15,000 მან., რომელიც ბანკმა მსესხებლებს გადაახდევინა, იმათს ჯიბეშივე დარჩებოდა, აგენტი რომ ჰყოლოდათ.

თ. დ. ი. აკალიშვილი. წარსულის წლის ხარჯთ-აღრიცხვაში, საზოგადო კრების გარდაწყვეტილების თანახმად, 600 მან. გადადებული აგენტის დასაქირავებლად. ჯერ ერთი, ამ ფულით ძნელად შეიძლებოდა პოვნა ცოტად თუ ბევრად კეთილსაიმედო კაცისა და, მეორე, მმართველობა იმ აზრისაა, რომ ასეთი აგენტი არავითარს სარგებლობას არ მოგვიტანს, ზარალის მეტს.

ბევრნი იმ აზრისანი არიან, რომ მოვიწვიოთ აგენტი და 1,200 მან. დავუნიშნოთ ჯამაგირადაო.

მ. კ. ყიფიანი. აგენტი გვინდა მოვიწვიოთ და იმას-კი არა ვფიქრობთ, თუ რამდენად ძნელია ამ თანამდებობის აღსრულება. ჯერ ჩვენ, მამულის პატრონები, რამდენსა ვცდებით მამულის დაგირავების დროს ცნობების მოკრეფისათვის და რამდენს არაკანონიერს ხარჯს ვეწევით, ვინ მოსთვლის. სადაც ხელს ჯიბისაკენ არ გაიკრავთ, არსად არაფერს იძლევიან თავისს დროზედ. ვინ წამოვა ასეთის მოვალეობის ასასრულებლად არამც თუ 1,200 მან., თუნდა 3,000 დაუნიშნოთ. თუ იკისრებს კიდევ ვინმე ამ მოვალეობას, შემდეგ ან თითონვე გაიქცევა, ან დაითხოვენ. ათასი უთანხმოება დაიბადება, საჩივარი, საქმის გახიახება და სხ. საზოგადოდ მე იმ აზრისა ვარ, რომ არაფერი საქმეა ასეთის ყალბისა და შეუძლებელის თანამდებობის დაარსება.

დ. ი. მუსხელიშვილი. დიდად მაოცებს ასეთი სიტყვები. ძალას ვის ატანენ: ვინც ვერ შეიძლებს ამ თანამდებობის აღსრულებას, არც იკისრებს, და აბა აქ რაღაა სალაპარაკო. მე-კი მგონია, რომ ბევრი გამოჩნდება ამ თანამდებობის მსურველი. მე ის სითამამე მაკვირვებს, რომლითაც ზოგნი უარ-ჰყოფენ 1,200 მან. ჯამაგირად, თუმცა ხშირად 500 მან. ჯამაგირსაც სჯერდებიან წელიწადში.

ამ აგენტის საქმემ დიდი ბაასი გამოიწვია. დ. სუმბათაშვილი, შაჰაზიზოვი, გ. ზ. ანდრონიკაშვილი და ზ. ანდრონიკაშვილი უსარგებლოდა სთვლიან აგენტის მოწვევას. თ. ვ. მ. მაჩაბელი ამბობს, რომ ერთის წლით მოვიწვიოთ აგენტი საცდელადაო.

თ. ი. გ. ჭავჭავაძე. გარწმუნებთ, რომ აგენტი არამც თუ სარგებლობას არას მოგვიტანს, მავნებელიც-კი იქნება, სულ ვერაფერს გაუკეთებს მსესხებლებს. დიდი საქმეა, თუ ხუთის მამულის საქმე მოაგვარა წელიწადში. აგერ რამდენი ხანია გამოვაცხადეთ, რომ ამისთანა შემთხვევაში მმართველობას მოჰმართონ მსესხებლებმაო. ხშირად ჩვენ ვშველით, ხან ბანკის მოხელეებს ვახმარებთ ხოლმე. თუ ამდენი ხალხი მაგდენს ვერაფერს ვახერხებთ, ერთმა კაცმა რა უნდა შეიძლოს?

დ. ი. მუსხელიშვილი. თავმჯდომარესა ვთხოვ, რომ ჩემს წინადადებას კენჭი უყაროს. მე აქა ვხედავ, რომ კრებაზედ ძალასა ჰხმარობენ...

თ. ი. გ. ჭავჭავაძე. რა ძალის ხმარებისას ჰბრძანებს ბ-ნი მუსხელიშვილი? თუ ჭკუის ძალის ხმარების შესახებ ჰლაპარაკობს, ეს ძალა ყოველთვის ძალადვე დარჩება, იმას ვერაფრით მოსპობთ, ვერავითარის საშუალებით, თუნდა მთელი არტილერია დაუყენოთ წინ... ყოველთვის ეგრეა, როდესაც ორი ჭკუა შეხვდება ერთმანეთს, ერთი, რომელიც ძლიერია, მეორეს დასჩაგრავს და დაიმორჩილებს... (სიცილია). ჩვენ აგენტი არა გვსურს, იმიტომ-რომ არ გვინდა მოგატყუოთ. აგენტს რომ სარგებლობის მოტანა რისამე შეეძლოს, პირ-იქით, ჩვენ უფრო ორივ ხელით მოვეჭიდებოდით, რადგან ჩვენც საქმეს შეგვიმსუბუქებდა და გაგვიადვილებდა. მაგრამ გვერწმუნეთ, რომ აგენტი, ზარალს-კი იქნება, მაგრამ სარგებლობას არაფერს მოგიტანთ.

დ. ი. მუსხელიშვილი. არ მესმის, რა მიზეზი მივეცი, რომ ი. გ. ჭავჭავაძე გამომეკამათა. ვგონებ, ბ-ნი ჭავჭავაძე იმის ჯავრსა ჰყრილობს, რომ მე ვთქვი, შარშანდელ საზოგადო კრების გარდაწყვეტილება არ აგისრულებიათ-მეთქი.

თ. ი. გ. მაჩაბელი. მე აზრი შევიცვალე აგენტის შესახებ, მაგრამ ამაში მმართველობამ არ დავურწმუნებივარ: მე სულ სხვა მოსაზრებათა გამო დავრწმუნდი...

კრებამ ერთ-ხმად დაადგინა, რომ ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქმნას და აგენტის მოწვევა-კი საჭირო არ არისო.

ამას შემდეგ კრება, რომელიც საღამოს 5 საათზედ დაბოლოვდა, მეორე დღისათვის გადაიდო.

---

## ანგარიში

1891 წლის აპრილის პირველიდგან 1892 წლის აპრილის პირველამდე გამგე კომიტეტისა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის.

(შემდეგი, იხ. „ივერია“ № 105)

შარშანდელს ანგარიშში იყო ნათქვამი, რომ პანსიონში შემოსვლის მსურველთა რიცხვი თანდათან მატულობსო და ამ მოთხოვნილებას სკოლა სრულიად მხოლოდ მაშინ გაუძღვება, როდესაც რიგიანი და ყოველისფრით მოწყობილი სადგური ექნებაო. საანგარიშო წელიწადმა დაამტკიცა, რომ მართლაც ეს მოთხოვნილება ჩვენს საზოგადოებაში ძლიერია. შარშანდელთან შედარებით პანსიონერების რიცხვმა 15-ით იმატა და გარედამ მოსიარულეთა რიცხვმა კი მხოლოდ 6-ით. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნებოდა, სკოლას რომ მეტი ვაკანსიები ჰქონოდა პანსიონერების მისაღებად.

რამდენჯერმე გვითქვამს ჩვენს ანგარიშებში და კიდევაც უნდა გავიმეოროთ, რომ ჩვენის სასწავლებლის უმთავრესს საყურადღებო საქმეს პანსიონი შეადგენს. გარდა იმისა, რომ პანსიონერები უკეთესს პირობებში არიან და უკეთესადაც სწავლობენ, რაც აშკარადა სჩანს კლასიდამ კლასში გადასულთა პროცენტიდამ, ისინი არც ისე ხშირად აკლდებიან გაკვეთილებს, როგორც გარედამ მოსიარულენი. მაგალითად, წარსულ საანგარიშო წელს თითო გარედამ მოსიარულე შეგირდი საშუალო რიცხვით დაჰკლებია 43,3 გაკვეთილს და პანსიონერი-კი. თითო 22,7 გაკვეთილს. გარდა ამისა, სასწავლებლის გამგენი ყოველ გვარ ღონისძიებასა ხმარობენ, რომ მოწაფენი, სწავლას გარდა, ფიზიკურადაც განვითარდნენ, ძალ-ღონე მოიკრიფონ, გიმნასტიკასა და ფრონტში დახელოვნდნენ, გალობა ჯეროვანად ისწავლონ და თავისუფალ დროს გაიცნონ ტფილისი და მისი გარემოები; ერთის სიტყვით, სასწავლებლის გამგენი ცდილობენ, რომ შეგირდები მთელი დრო გართულნი იყვნენ ან სწავლაში, ან გულის გამახალისებელ თამაშობა-სეირნობაში და უქმობას ასცდნენ. ეს ყველაფერი შესაძლებელია მხოლოდ პანსიონერების შესახებ. გარედამ მოსიარულე შეგირდნი-კი სასწავლებლის მთავრობის ზედამხედველობის ქვეშ მხოლოდ სადილობამდე არიან და განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ მათი მიწვევა სასწავლებელში სადილ შემდეგაც. ყოველ ამის გამო გამგე კომიტეტი თავის მოვალეობადა რაცხს კიდევ მიაქციოს საზოგადო კრების ყურადღება, რომ ერთი უმთავრესი საგანთაგანი სკოლის წარმატებისათვის არის იმისთანა სახლის შეძენა, რომელიც სრულიად აკმაყოფილებდეს სკოლის მოთხოვნილებას და შესაძლებელიც იყოს პანსიონის სურვილისამებრ გადიდება.

ასეთის მძიმე და საჭირო საქმის ასრულებისათვის გამგე კომიტეტმა მიმართა თხოვნით ბანკის საზოგადო კრებას, რომ ჩვენს საზოგადოებას დაეთმოს საკუთრებად ყიდვით ამ ჟამად ბანკის კუთვნილი შენობა, რომელიც მდებარეობს ტფილისში, სოლოლაკში, განოვისა და ველიამინოვის ქუჩაზედ. ეს სახლი სკოლისათვის კარგად არის მოწყობილი და ეხლაც იქ მოთავსებულია სრული პროგიმნაზია ექვს-კლასიანი ინსპექტორის სადგურითურთ. თუ კრებამ ბანკისამ ჩვენი თხოვნა შეიწყნარა, მაშინ გამგე კომიტეტი ეცდება ჩვენი სკოლა იქ მოათავსოს და თუ ეს მოხერხებული არ აღმოჩნდება, მაშინ ეცდება მოიპოვოს თავისუფალი ადგილი, სადაც ბანკის შემწეობით და ამ სახლის შემოსავლის დამატებით შესაძლებელი იყოს ჯეროვანის შენობის აგება ჩვენის სასწავლებლისათვის. მაგრამ, ვიმეორებთ, უმთავრესი აზრი სკოლის გამგეთა შენობის შეძენის დროს ის უნდა იყოს, რომ პანსიონი კარგად იყოს მოწყობილი და მისი გადიდება შეიძლებოდეს სურვილისამებრ.

საანგარიშო წელს გამგე კომიტეტმა სკოლისავე შენობაში სრულიად ცალკე იქირავა საავადმყოფო, რომელიც ორის განყოფილებისაგან შესდგება; ერთია საზოგადო და მეორე გადამდების სენის ავადმყოფთათვის. პირველში არის ამ ჟამად ოთხი საწოლი და მეორეში ერთი, მაგრამ თუ საჭიროება მოითხოვს, სამის საწოლის მიმატება კიდევ შეიძლება. ჯან-მრთელობის მხრივ საანგარიშო წელს ყმაწვილები კარგს მდგომარეობაში იყვნენ. საშიშარი ავადმყოფობა სრულიად არა ყოფილა-რა სკოლაში გარდა ერთის შემთხვევისა. ერთს ახლად მიღებულს პანსიონერს ყვავილი გამოაჩნდა, მაგრამ ამ შემთხვევამ მშვიდობიანად ჩაიარა და სხვას არავის არ გადასდებია.

სასწავლებელში მსახურობს 18 კაცი: ერთი ინსპექტორი, თერთმეტი მასწავლებელი, ორი აღმზრდელი, ერთი ფრონტისა და გიმნასტიკის მასწავლებელი, ერთი ეკონომი-ქალი,

ექიმი და ავადმყოფების მომვლელი ქალი. მასწავლებელთა და აღმზრდელთა შორის ექვსს დაუსრულებია სწავლა უმაღლესს სასწავლებელში, დანარჩენებს მიღებული აქვთ საშუალო განათლება და მოპოვებული აქვთ თავიანთ თანამდებობის შესაფერი უფლება.

გამგე კომიტეტს სავარაუდო ხარჯთაღრიცხვაში შეტანილი აქვს და აქაც მოვალეობადა რაცხს მოახსენოს საზოგადო კრებას, რომ მას სასარგებლოდ მიაჩნია მე-4 კლასის გახსნა; რომ ამ სახით ჯერ-ჯერობით მაინც ჩვენმა სასწავლებელმა დამთავრებული ხასიათი მიიღოს და ვიდრე გადაწყდებოდეს საქმე პროგიმნაზიის დაარსებისა, იგი წარმოადგედენს 4 კლასიანს პროგიმნაზიას, საიდამაც გამოსულნი შეგირდნი უფრო ადვილად გაიკვლევენ გზას ცხოვრების ასპარეზზედ. ამასთანავე გამგე კომიტეტი საჭიროდ ჰხედავს, რომ შეძლებისამებრ გამრავლდეს რიცხვი ჩვენს სკოლაში იმისთანა მასწავლებლებისა, რომელნიც თავიანთ დროს მხოლოდ ამ საქმეს ანდომებდენ, რადგან შემთხვევით მოწვეულთ არ შეუძლიანთ ისე გულმოდგინედ მოკიდება საქმისა, როგორც საკუთრებს. ამისათვის ვიდრე გამგე კომიტეტი შეიმუშავებდეს პროექტს პენსიისას, საჭიროდ რაცხს, რომ ყოველ წლივ, რიგ-რიგობით, დაჯილდოებულ იქმნენ ხოლმე ის მასწავლებლები და აღმზრდელნი, რომელთაც ეს ჯილდო თავიანთ ხანგრძლივის მოღვაწეობით და განსაკუთრებულის შრომით დაუმსახურებიათ.

იმას გარდა, რომ საანგარიშო წელს სკოლაში მოსამსახურენი წინანდელისამებრ ერთგულად ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, ზოგიერთ მათგანთ იმისთანა შრომაც იკისრეს, რაც მათთვის სავალდებულო არ იყო. მასწავლებელი გიმნასტიკისა და ფრონტისა თ. ვლად. გედევანიშვილი ბევრად მეტს დროს ახმარებდა ამ ვარჯიშობას, ვიდრე დანიშნული იყო, და აგრეთვე ამავე წელს დააწყებინა სწავლა ყმაწვილებს წიგნების ყდის კეთებისა, რაც იმდენად გაივარჯიშეს, რომ თავისუფალ დროს სამოცზედ მეტს წიგნს გადააკრეს ყდა. მასწავლებელმა გალობისამ ბ-ნმა ჩხიკვაძემ შეადგინა ხორო, რომელსაც საეკკლესიო გალობასაც ასწავლის და კვირა-უქმე დღეებში ეკლესიაში აგალობებს.

საანგარიშო წელს გარედამ მოსიარულეთა შორის სკოლის ფულის შემოტანისაგან განთავისუფლებული იყო 47 მოწაფე.

(დასასრული იქნება)

## დეპეშა

24 მაისი

**პეტერბურგი.** გაზეთები იუწყებიან, რომ 6% გირავნობის ფურცელთა კონვერსიის საქმე 5%-ზედ კარგად მიდისო. გარდასაცვლელად წარდგენილ იქმნა 10 მილ.

ფინანსთა მინისტრს პეტერბურგში მიელიან, საიდგანაც ივნისის ნახევარში კვლავ გაემგზავრება სტოკჰოლმს დასასვენებლად.

მოსწავლეებს მალე მიენიჭებათ უფლება, რომ რკინის გზებზედ მე-2 და 3 კლასით იარონ 50%-ის დაკლებით.

13—22 მაისს განსაკუთრებულს კომიტეტს შეწირულება მიუვიდა 62,611 მან. აქედგან 20,000 მან. პეტერბურგის თავად-აზნაურობამ შესწირა, 16,546 მან. ფინანსთა სამინისტროს დაწესებულებათა და მოსამსახურეთ, 7,500 სერბიელებთაგან სხვა-და-სხვა შემომწირველმა ¢ 1,000 მან. კიდევ საქალაქო საბჭომ.

განკარგულება მოახდინეს, რომ საეკკლესიო კრებულმა ყოველს ეპარქიაში გამართოს საეკკლესიო სამრევლო, ან საწერა-კითხვო სკოლა, მიუხედავად საერობო და სხვა სკოლათა, და აგრეთვე, რაც შეიძლება, ყოველს ეპარქიაში გამართულ იქმნას საწერა-კითხვო სკოლა ქალთათვის.

**ბერლინი.** ორშაბათს იმპერატორი კილს მიემგზავრება.

**რომი.** პალატამ განიხილა და დაამტკიცა კიდეც დროებითი სავაჭრო პირობა ბოლგარიასთან.

25 მაისი

**ბერლინი.** რუსეთის დესპანი, გრაფი შუვალოვი, ხვალ კილს მიემგზავრება.

**ვენა.** იმპერატორი, ელჩნი და დესპანნი გაემგზავრნენ ბუდაპეშტს გვირგვინის კურთხევის დღესასწაულზედ დასასწრებლად.

„Opera“-ში გამართულ დღესასწაულის შემოსავლიდგან 40,000 ფრანკი გადადებულ იქმნა დამშეულ რუსთა სასარგებლოდ.

**პარიჟი.** პრეზიდენტი კარნო დღეს წავიდა ნანსში გიმნასტთა დღესასწაულზედ დასასწრებლად.

**ლონდონი.** პრინცი ფერდინანდი კობურგისა ბალმორას გაემგზავრა, რომ სადარბაზოდ მივიდეს დედოფალთან.

**პრაგა.** პარიჟის „Comedie Francaise“-ის არტისტებმა უარი განაცხადეს და არ ითამაშეს გერმანულს თეატრში და ამის გამო საჩივარი შევიდა სასამართლოში პირობის დარღვევის თაობაზედ.

**კოპენჰაგენი.** ხელმწიფე იმპერატორი და მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს დილით გაემგზავრებიან გემით „Полярная звѣзда“-თი, რომელიც მალე კილს წავა.

**პოტსდამი.** იმპერატორი ვილჰელმი ნაშუადღევის ორს საათზედ კილს გაემგზავრა.

**ნანსი.** პრეზიდენტი კარნო მოვიდა. ყოველს ქუჩაზე გამოფენილი იყო საფრანგეთის დროშები. ქალაქში გამართულია 32 სატრიუმფო კარი; ერთისმათგანის გამართვა 5,000 ფრანკი დაჯდა. მშვენიერი სანახავი იყო, როცა ჯარმა გაიარა.

პეტერბურგის ბირჟა, 22 მაისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,57 | 7,61 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | 151,60 | 152¹/₄ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | 1,10 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | 242 |
| —მეორისა . . . | — „ | — „ | 221¹/₂ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — „ | 193 | 193³/₄ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.


## განცხადებანი

კბილის ექიმი
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—51)

გასაფრთხილებლად.
ჩვენს პატივცემულს მყიდველებსა ვთხოვთ, რომ მოითხოვონ ხოლმე ჩვენ მიერ გამოგონილი საპონი
ოლეო-ვაზელინის
**როიალ-კონგო**
მხოლოდ ჩვენის წარწერით-კი ჟ. ბოდლოსი და ამხ. ამ საპონმა დიდი სახელი გაითქვა და არა აქვს-რა საერთო ღირსებითა და სუნით სხვა ამ სახელის მაგვარ სახელიან საპნებთან.
საპარფიუმერო ფაბრიკა
„ვიქტორია რეგინა“
**ჟ. ბოდლოსი და ამხ.**
მოსკოვს.
ისყიდება ყველგან! (10—8)

ПРИДВОРНЫЕ ПОСТАВЩИКИ
**А. РАЛЛЕ и Ко**
НОВОСТИ! ПРИДВОРНЫЕ ДУХИ ПРИДВОРНОЕ МЫЛО ПРИДВОРНАЯ ПУДРА
ЦВѢТОЧНОЕ ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО.
НОВОСТИ! ДУХИ БѢЛЫЙ ИРИСЪ ПЕРСИДСКАЯ СИРЕНЬ ЛАНДЫШЪ.
21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ
21 ВЫСШИХЪ НАГРАДЪ
ЯИЧНОЕ МЫЛО, ИЗОБРѢТЕННОЕ НАМИ ВЪ 1846 Г.

МЫЛО КАЗАНЛЫКСКАЯ РОЗА.
ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 Г.
ЗОЛОТАЯ МЕДАЛЬ ПАРИЖЪ 1889 Г.
О-ДЕ-КОЛОНЪ ДИСТИЛИРОВАННЫЙ НА ЦВѢТАХЪ ВСЕВОЗМОЖН. ЗАПАХОВЪ.
СПЕЦІАЛЬНО ИЗГОТОЛЕННОЕ ДѢТСКОЕ МЫЛО СЪ ГЛИЦЕРИНОМЪ
БАРХАТНАЯ ПУДРА ХОРОШО ПРИСТАЮЩАЯ НЕЗАМѢТНАЯ НА ЛИЦѢ.
**А. РАЛЛЕ и Ко**
ПРОИЗВЕДЕНІЯ НАШИ ПРОДАЮТСЯ ВО ВСѢХЪ ПАРФЮМЕРНЫХЪ и АПТЕКАРСКИХЪ МАГАЗИНАХЪ РОССІЙСК. ИМПЕРІИ.
(12—8)



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ЗАВОДЪ
МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
**А. А. ТУТАЕВА.**
*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*
Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее. Ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

ალექსი თუთაევის
ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ
**ტფილისში:**
ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფოტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.
ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.
ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.
კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—12)


Дозв. ценз. Тифлисъ, 26-го Мая 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.